ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №06
2025 წლის 27 ივნისი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №13 დადგენილებაში ,,ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ა) მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ე) ქარელის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა და მისი დებულების დამტკიცება, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სამუშაო ღონისძიებათა დაგემვა და დამტკიცება;";

ბ) მე-3 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„14. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში:

სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.";

გ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„რ) ამტკიცებს საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებს;";

დ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ქ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ქ) განსაზღვრავს და ამტკიცებს ქარელის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობას.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერ შუბითიძე**